**გაზეთი ღირს**

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 **სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892



ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას**.

**ხელობადა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთის წუთის სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც მალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისეულ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—31)



გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

**ბრძოლა**

**საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შესაერთებლად,**

ანუ

გიორგი სააკაძე და მისი დრო.

იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემს საზოგადოებას წიგნთ-საწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.


„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა აცხადებს, რომ კავკავის ქართულის სკოლის უფროსის მასწავლებლის (III და IV განყოფილებისა) ადგილი დაცლილია. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა შემოიტანოს თხოვნა გამგეობის სახელზე 10 მარიამობისთვემდე. მასწავლებელს აქვს ჯამაგირი 400 მანეთი, სახლი, შეშა და სანთელი; ჰყავს მსახურიც. საღმრთო სჯულისა და გალობის სწავლებისთვის დანიშნულია ცალკე ჯამაგირი. (10—9)

ტფილისი, 6 ივლისი

წარსულს წერილში ის სამწუხარო გარემოება აღვნიშნეთ, რომ სოფელი უნუგეშოდ არის დატოვებული და მზრუნველი არავინა ჰყავსო. ჩვენდა სასიამოვნოდ და სოფლის საბედნიეროდ, იმასაც გამოუჩნდნენ პატრონები და მზრუნველნი. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა ხოლერასთან საბრძოლველად გადასდო ათას ორასი თუმანი. ამ ფულით დაიქირავებენ ექიმებს, ფერშლებს და გაჰგზავნიან სოფლად. ბატონი ტფილისის გუბერნატორი უკვე იწვევს ექიმებს, ან პირადად, ან დეპეშით, მაცნობეთ თქვენი სურვილი, რომ თანახმა ხართ იკისროთ ხოლერასთან ბრძოლა სოფლადაო. საშიშოა მხოლოდ, ვაი თუ საჭირო რიცხვი ექიმებისა ვერ იშოვონ, რადგან ვინც აქამდე უალაგოდ იყო, ყველა ბაქოსა და განჯისკენ გაისტუმრეს; რუსეთიდგან ექიმების მოსვლა საეჭვოა, რადგან თვით რუსეთს ხოლერა საშინელის ძლიერებით მოედო და ექიმები იქ უფრო საჭირონი იქნებიან, ვიდრე ჩვენში, სადაც, ღვთის მადლით, ხოლერასჯერ ფეხი ვერ მოუკიდნია.

მართლაც საკვირველებაა! აგერ თითქმის ერთი თთვე შესრულდა, რაც ტფილისში ხოლერამ თავი იჩინა, და დღეში ხოლერით ავადმყოფთა რიცხვი არ აღემატება ორსა და სამს, ამათშიაც მომეტებული წილი იკურნება სენისაგან. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ამ მხრით რუსეთი. გაჩნდა თუ არა ხოლერა ვოლგას ნაპირებად მდებარე ქალაქებში, მეორ-მესამე დღესვე ასობით იმსხვერპლა ხალხი. ასტრახანს, სარატოვს და სხვა დიდ ქალაქებს ისეთის სისწრაფით მოედო ხოლერა, რომ ჩვენ, მნახველნი ტფილისში ხოლერისა, ვერც-კი წარმოვიდგენთ ადვილად ამ სენის სიმკაცრეს და სიდუხჭირეს. წინადვე იყო მოსალოდნელი, რომ რუსეთში, თუ-კი გაჩნდებოდა ხოლერა, დიდს ზარალს მოიტანდა და, სამწუხაროდ, გამართლდა კიდეც ეს მოლოდინი.

საქმე იმაშია, რომ შარშან მთელი ოც-და-ორი მილიონი ხალხი დაიმშა, მთელი ზამთარი რის ვაივაგლახით გამოჰკვება მკვიდრნი მთავრობამ. ხალხი რიგიანის საზრდო-საკვების უქონლობის გამო დაუძლურდა, არაქათი გამოელია და ათასის ჭირისა და სენის მსხვერპლი გახდა წარსულ ზამთარშივე.

უეჭველია, ამისთანა გარემოებაში ჩავარდნილს ხალხს ხოლერა დიდს ნავნევს მისცემს, თუ მთავრობა და ერობა დიდს მხნეობას არ გამოიჩენს ხოლერასთან ბრძოლაში. გასაჭირი ის არის მხოლოდ, რომ რუსეთის ერობას ეხლა კაპეიკი აღარ მოეპოვება ჯიბეში; რაც ჰქონდა, შარშან დამშეულ ხალხის გამოკვებას მოანდომა, წრევანდელი შემოსავალი არ იკრიფება და აბა უფულოდ რა ჰქნას? დარჩა ისევ მთავრობა.

მთავრობამ მხნედ დაიწყო ბრძოლა ხოლერასთან, მაგრამ საკვირველი საქმეა! ხალხი უნდობლად უცქერის მის განკარგულებას, სხვადა-სხვა ჭორებს იჯერებს, ვითომ ხოლერით ავადმყოფებს ჰხოცავენო, და გაბრაზებული წინააღმდეგობას უწევს.

უწესოება ჯერ მარტო ორ ქალაქში მოხდა: ასტრახანსა და სარატოვში. ერთის სიტყვით, ამ უგუნურ ბრბოს დასამშვიდებლად მთავრობა იძულებული იყო, იარაღი ეხმარა და ისე დაემშვიდებინა. თოფის სროლის დროს სამი კაცი მომკვდარა და ოთხიც დაჭრილა.

ასეთის სამწუხარო ამბების მსმენელი ღმერთსა და ბედს მადლობას შესწირავს, რომ ჩვენი ხალხი ასე გონივრულად და გაგებით უცქერის მთავრობის განკარგულებას და სიხარულით ასრულებს მის რჩევა-დარიგებას.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 3 ივლისს დილით ხოლერით ავადმყოფი იყო 19 კაცი და 1 ქალი: იმავე დღეს მიიყვანეს ორი კაცი: კურიკაშვილი (7 ნაწილი, თამამშოვის წისქვილი), ბაქოდგან ჩამოსული ობრუჩოვი (10 ნაწილი, „ნეაპოლის“ სასტუმრო) და ერთიც ქალი ქ-ნი ჩევერლოვისა (რიყე, 8 ნაწილი, სერგინის სახლი); მორჩა ორი კაცი — რევინი და ზუბოვი და ერთი ქალი, — ტერ-ხეჩატუროვისა; გარდაიცვალა ორი კაცი — კურიკაშვილი და მაქსიმოვი. 3 ივლისს საღამოთი სამკურნალოში იყო 16 კაცი და 1 ქალი. ღამე მიიყვანეს კიდევ ორი კაცი — ჯიდოკაშვილი (10 ნაწილი, მიხეილის ქუჩა, პაპოვის სახლი, № 154) და მიკირტიჩევი (7 ნაწილი, კაზარმებს ახლო, სახლი № 13). 4 ივლისს დილით სამკურნალოში იყო 18 კაცი და ერთი ქალი. იმავე ღამეს სამკურნალოში წაიყვანეს ეტლით ქალანთაროვის ქარვასლიდგან ხოლერით ავადმყოფი ქერბალაი-ბაბაჩიმ-ოღლი, რომელიც გზაში გარდაიცვალა.

2 ივლისს ტფილისის საპატიმროს სამკურნალოში მიიყვანეს ხოლერიანი პატიმარი მამად-უსეინ-ოღლი, რომელიც ეხლა უკეთ არის.

*** ოთხს ივლისს დილით მიხეილის სამკურნალოში ავად იყო 18 კაცი და 1 ქალი. იმავე დღეს მიიყვანეს ორი კაცი: თავ. ალექსანდრე შალიკაშვილი (5 ნაწილი, სიონის ქუჩა, საკუთარი სახლი) და ჰუსეინ-ოღლი (1 ნაწილი, განგალულიანცის აგურის ქარხანა) და ერთი ქალი, — თამასოვისა (1 ნაწილი, ბაგრატიონის ქუჩა, ვასილიევის სახლი).

4 ივლისს საღამოთი სამკურნალოში იყო 18 კაცი და 1 ქალი. ღამე მიიყვანეს ორი კაცი — აბაშკინი (8 ნაწილი, ჩუღურეთი, სკვარცოვის სახლი, № 11), ასტვაცატუროვი (5 ნაწილი, პიროიანცის სახლი) დილით 5 ივლისს სამკურნალოში იყო 20 კაცი და 2 ქალი.

ამას გარდა იმავე დღეს სამკურნალოში წაიყვანეს ეტლით 1 ქალი, ეფემია ბეჟიტაშვილი (8 ნაწილი, გონჩაროვის ქუჩა, საკუთარი სახლი). ავადმყოფი გზაზედ გარდაიცვალა.

4 და 5 ივლისს საპატიმროს სამ-

## ფელეტონი

### სვანების აღელვება

1875—1876 წლებში.

(დასასრული *)

ხალდეშლებმა რომ თავისაკენ მიმავალი კამანდა დაინახეს, იბრუნეს პირი და საჩქაროდ სოფლად გასწიეს. მაშინვე თავდარიგი იხმარეს ცოლშვილის გახიზვნისათვის სოფლიდგან. ახალგაზრდები კოშკებში ჩასხდნენ და უფროსები-კი შუა სოფელში მოგროვდნენ. ამ უკანასკნელებს მოელაპარაკათ, რომ თუ კამანდამ შემოსვლისათანავე ჩხუბი არ ასტეხოს, თავაზიანად მივიღოთ ყველაო. სოფლად მისვლა გრინევსკიმა და მისმა მხლებლებმა მიასწრეს სხვებს. მოხუცნი იღებენ მაზრის უფროსს და სთხოვენ, უბედურებას ნურაფერს მოახდენთო. ამაღამ თქვენ და მთელს კამანდას ვახშამს მოგართმევთ და ხვალ რაც გენებებათ, იმას ავასრულებთო. გრინევსკიც დამშვიდდა. ამ დროს კამანდის თავმა, რომელსაც წინ უძღვის ლეუსი, სოფლის პირად მოაწია. ზედ სოფელში, შესავალთან, გზაზედ, ერთი მეორის პირდაპირ, ორი კოშკი იდგა. შუაში გზა გაუდიოდა. ლეუსმა აქ მოაწია. კოშკში ყმაწვილები არიან და ფანჯრიდგან იხედებიან: აბა შევხედოთ, რა კაცია ეს მაიორიო. საუბედუროდ ამ დროს ყმაწვილებმა ქვის კენჭები გადმოყარეს. კენჭები ლეუსს დაეყარა თავბექებზედ. როგორც თუ ეგენი კოშკებში შესულანო, სთქვა თურმე ლეუსმა და გაბრაზდა. ამ დროს მოეგება ორი ხალდეშელი მისაღებად. ლეუსმა სალდათებს უბრძანა, ხიშტებზედ ააგეთ ორივენიო. თითო ხალდეშელს ოთხ-ოთხი სალდათი მიუჩინა. ერთი უცბად ააგეს ხიშტზედ, მეორე-კი გაიქცა. გამოეკიდა ოთხი სალდათი; შეატყო, რომ ეს-ესაა მკლავენო, იშიშვლა ხანჯალი, სამი სალდათი მოჰკლა და მეოთხემ-კი თვით ის მოჰკლა. ამ ამბავს კოშკებიდგან უყურებდნენ. ლეუსი იქვე კოშკთან მოიკლა თოფით. გამოვარდა მეორე თოფი, მიქელაძეს მოხვდა კისერში და ტყვია პირში გამოვარდა. კალის მამასახლისი გრინევსკის აეფარა, ეგებ მაპატიონო, მაგრამ გრინევსკის მაგიერ იმას მოხვდა თოფი და იქვე სული გააცხებინეს. ამასობაში გრინევსკი და მისი ამხანაგები ხან ერთ სახლის კედელს ამოეფარებიან, ხან მეორეს, რომ ტყვია აიცილონ. კამანდაც სოფლის ქვემოდ შენობებს მიეფარა დაწოლილი, სადაც კოშკებიდგან ტყვია არ მოხვდებოდა. ამასობაში კიდეც დაღამდა.

მოკლულ ხალდეშლების ჭირისუფლებმა გრინევსკის და მის ამხანაგებს დაუწყეს ძებნა. ნახეს ერთს სახლში და დახოცეს, გარდა თარჯიმანის ბ—სი, რომელიც ერთმა ხალდეშელმა თავის კოშკში დამალა სიკვდილის ასაცილებლად *). ბნელი ღამეა. მიმალულმა კამანდამ ისარგებლა ამითი და ღამევე მივიდა თავისს ბინაზედ. მეორე დღეს დახოცილები: გრინევსკი, ლეუსი, მიქელაძე, ექიმი ბელსი და ასათიანი საზოგადო საფლავში დაჰკრძალეს. გახიზნული ცოლშვილი ხალდემლებმა თავიანთ ნათესავებში დაჰფანტეს; კაცები და ორი ქალი სოფლად დარჩნენ და დაიწყეს სარჩოს მომზადება-შენახვა, ტყვია-წამლის კეთება. ერთის სიტყვით, დამარაგდნენ სოფლად.

1 აგვისტოდამ დაწყებული 7-მდე ამ მდგომარეობაში დარჩა ხალდე. 7-ს ქუთაისის მაზრის უფროსი და გურულების დრუჟინა მოვიდა კალას. ბეჩოს კამანდა შინ გაისტუმრეს. მოიწვიეს სვანების მილიცია. 19-ს გენერალ ცოტოვიჩმა ატრიადი და კახელების დრუჟინა მოიყვანა. 20-ს ყვე-

*) იხ. „ივერია“, № 137.

*) ამ კაი კაცმა ჩვენებაში თავის მფარველზედ სთქვა თურმე, რომ მოსაკლავად შემამწყვდია კოშკშიო. ამ ჩვენების ძალით, ხალდეშელს სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ კატორგით შეუცვალეს.

კურნალოში მიიყვანეს 3 პატიმარი, ხოლერით ავადმყოფი—არტემ სარიბეგოვი, ევდოკია ევტუშენკო და ივანე კოვალიოვი. 5 ივლისს არტემ სარიბეგოვი გარდაიცვალა.

ამას გარდა 4 ივლისს ავად გახდა ხოლერით 5 წლის ყმაწვილი ალექსანდრე ბაბანასოვი (10 ნაწილი, ელისაბედის ქუჩა, № 178), 5 ივლისს ავად გახდა ხოლერით და გარდაიცვალა კნიაჟნა ნაკაშიძე (8 ნაწილი, გონჩარნი ქუჩა). ნავთლუღში ავად გახდა ხოლერით ერთი ქალი—თაქუა თურაზაშვილი. ავადმყოფს სახლში სწამლობენ.

⁂ ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 2 ივლისს სამკურნალოში მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფი 35, გარდაიცვალა 10, მორჩა 19, სამკურნალოში იმყოფება 141. სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 32. ბაქოს მიდამოებსა და მაზრებში ავად გახდა 89, გარდაიცვალა 65, მორჩა 4. სალიანის ბატალიონის სამკურნალოში მიიყვანეს 2, ავად არის 29. ბაქოს საპატიმროში გარდაიცვალა 1, იმყოფება ავად 5.

⁂ განჯის გუბერნატორი იუწყება: 2 ივლისს შუშაში ავად გახდა 7, მორჩა 4, გარდაიცვალა 7, ავად არის 26, განჯის მაზრაში ავად არის 3. ჯევანშირის მაზრაში ავად არის 9, მორჩა 4, გარდაიცვალა 8, კიდევ ავად არის 21. ზანგეზურის მაზრაში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 14, ავად არის 27; ყაზახის მაზრაში ავად არის 1. ნუხაში ავად იყო 2, კიდევ ავად გახდა 8, მორჩა 2, ავად არის 7; ნუხას მაზრაში ავად გახდა 3. განჯაში ავად არის 2, მაზრაში 3.

3 ივლისს შუშაში ავად გახდა 7, მორჩა 4, გარდაიცვალა 5, ავად არის 24. მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3, მორჩა 2, ავად არის 3. ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 7, მორჩა 2, ავად არის 23; ზანგეზურის მაზრაში ავად არის 27. ყაზახის მაზრაში 1, ნუხაში 7, მაზრაში 3. განჯაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 5, ავად არის 4; მაზრაში ავად გახდა 8, მორჩა 2, გარდაიცვალა 5, ავად არის 4. მთელს გუბერნიაში 96 ავადმყოფია.

⁂ 4 ივლისს, ღამის 11 საათზედ, ტფილისში დაბრუნდა კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი.

⁂ კვირას, 5 ივლისს, სიონის ტაძარში საქართველოს ექსარხოსმა გარდაიხადა პარაკლისი მცხოვრებთა ხოლერისაგან დახსნისათვის.

⁂ ქალაქის გამგეობამ 4 ივლისს დაადგინა:

1) სასანიტარო 8 დასის მკურნალი პრეობრაჟენსკი, თავისისავე თხოვნის გამო, დათხოვნილ იქმნას სამსახურიდგან და ერთის თვის ჯამაგირი მიეცეს (150 მან.).

2) დროებით გამართულის სამკურნალოს ორდინატორი გუგულიანცი დანიშნულ იქმნა მკურნალის პრეობრაჟენსკის მოადგილედ.

3) უფროსს ორდინატორს დროებით გამართულის სამკურნალოსას ს. ს. ისტამანოვს დაევალოს, რათა სხვა მკურნალი დანიშნოს გუგულიანცის მოადგილედ.

⁂ შაბათს, 4 ივლისს, გაიმართა ტფილისში კიდევ ერთი უფასო სამაიე ლოტრანგთა ეკკლესიის გალავანში, მიხეილის ქუჩაზედ.

⁂ ტფილისის ბოქაულთ ებრძანათ, თვალ-ყური ადევნეთ, რომ ცხენის რკინის გზის სადგურებზედ, საცა ვაგონები ჩერდება ხოლმე, ყოველ დღე დეზინფექცია მოახდინონო.

⁂ ივნისის თვეში ტფილისიდგან 35,000-მდე მცხოვრები წავიდა რკინის გზით სხვა-და-სხვა ქალაქში.

⁂ 5 ივლისს სპარსეთის ელჩმა მირზა რიზა-ხანმა დაათვალიერა ტფილისში მცხოვრებ სპარსელთა სადგურები და დარიგება მისცა სუფთად იცხოვრეთო.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, პოლიციებში დაუშლელი კირი გაიყიდოსო.

⁂ შაბათს, 4 ივლისს, ტფილისის გუბერნატორმა დაიარა რიყე, და დაარიგა ხალხი, რომ ის ხმები ტყუილია, ვითომ მკურნალნი ავადმყოფ ხალხსა ჰხოცავენო. მთავრობასა და ადმინისტრაციას, პირ-იქით ისა სურს, რომ ყოველ გვარი ღონისძიება იხმაროს ავადმყოფთა მოსარჩენადაო.

⁂ ნავთლუღის სამხედრო სამკურნალოს უფროსმა სრული თანხმობა გამოაცხადა ამ სამკურნალოში ნავთლუღელ ხოლერიან ავადმყოფთა მიღების შესახებ

⁂ 1830 წ. დიდ-ხორველობის დროს ტფილისში ძალიან ბევრი ქართველი მელექსეები სცხოვრობდნენ, რომელთაც ეს უბედური მოვლენა თავიანთის ლექსებით შეუმკიათ. ერთ ასეთ მელექსედ ვიღაც გურჯი (ქართველი) იავა ყოფილა, რომლისაც ამის შესახებ ლექსებიც უწერია. ერთი ამის ლექსი სომხურს ენაზედ და რამდენიმე ცნობა იმის ცხოვრების შესახებ დაბეჭდილია „არძაგანქში“.

⁂ შარშან ქართულს ენაზედ რომ მაჰმადიანთა ლოცვები დაიბეჭდა, ეს ლოცვები ტფილისის თათრებსაც უნახავთ, ძლიერ გაჰკვირვებიათ, რამდენიმეს ეს წიგნი შეუძენია კიდეც და ერთმანეთს თურმე ქართულის ასოებით აკითხებენ თავიანთებურს ლოცვებს.

⁂ მოზდოკი: ჩვენი ქართველები ძალიან სწუხან იმის გამო, რომ აქაურს მართლ-მადიდებელს ეკკლესიაში ქართველი მღვდელი არა გვყავსო. დიდად ნატრობენ ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვის გაგონებას, ნამეტნავად მოხუცებულები. ამის გამო ამ საწყლებს ორჯელ-სამჯერ ერთის კაცისთვისაც მიუმართავთ თხოვნით და უკითხავთ, თუ რა საშუალებით შეგვეძლება მოვახერხოთ, რომ ქართველი მღდელი დაგვინიშნონო. ეხლანდელი ჩვენი მღვდელი დიდად კეთილი კაცია, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც იმისის წირვა-ლოცვისა არა გვესმის-რაო.

⁂ აფხაზეთი: ჩვენი ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი დიდად მეცადინეობს აფხაზთა შვილების განათლებისათვის. დღეს აფხაზეთის სკოლებიც ამას მიაბარეს და მის ხელქვეით იმყოფება. ყველგან რუსულს ენაზედ სწარმოებს სწავლა. აქეთ სკოლებში ქართულის წიგნების ჰაჰანება ისევე აღარ არის, როგორც დღეს სამეგრელოს სასწავლებლებში. ბევრი აფხაზი-კი ისწავლიდა ქართულს ენას და სიამოვნებითაც ისწავლიდა, გარემოება რომ ხელს უწყობდეს.

⁂ სამტრედია: აქ ღორის შენახვის ყადაღა გამოაცხადა მთავრობამ და დიდსა და პატარა ქალაქებში აღარ ანახვინებენ დროებით. თუ პატრონი არა ჰკლავს ღორს, მაშინ თვითო ბოქაული ჰკლავს, საცა-კი შეხვდება.

⁂ საჩხერე: დღეს, 2 ივლისს, ნაშუადღევის ხუთს საათზედ, მთელის საჩხერის მცხოვრებნი შესძრა ერთმა შემთხვევამ, რომელიც მოხდა სოფელს სარეკში (საჩხერის მაზრიდგან სამს ვერსზედაა). ეს შემთხვევა გახლავთ ხოლერა, რომელმაც რამდენისამე საათის განმავლობაში მოჰკლა ერთი ტფილისიდგან მომავალი რაჭველი, გვარად არჩვაძე. ეს ამბავი მეხუთე საათზედ შეატყობინეს აქაურს ექიმს, ბ-ნს ელიავას, სარეკში ვიღაც კაცი კვდებაო. ის მაშინვე იქ გაჩნდა და მიიღო ყოველივე საშუალება, მაგრამ ავადმყოფს აღარა ეშველა-რა, უცებ სული დალია. ადგილი, სადაც არჩვაძე გარდაიცვალა, ან სადაც პირიდგან ესაქმებინა გზაზედ, ექიმმა ყველგან მოსწვა, მოაპკურა. შემდეგ მიცვალებული რიგისამებრ დიდის სიფრთხილით დაასაფლავეს. იქვე ააშენეს კარავი და დააკავეს იქ რამდენისამე დღით მიცვალებულის ამხანაგები, რომელნიც მასთან ერთად მოდიოდნენ ტფილისიდგან. ყველამ კარგად იცის, რომ ტფილისში, ბაქოში და სხვა ქალაქებშიაც დიდძალი მუშა რაჭველები არიან, რომელნიც ამ საშიშარ სენის დროს თავიანთ სახლისაკენ მორბიან, ბაქოდგან და ტფილისიდგან მომავალ რაჭველების პირდაპირი გზა საჩხერეზეა და ამ უკანასკნელს დროს დღე არ გაივლის ისე, რომ 100—200 რაჭველმა არ გაიაროს ამ გზით. თუ რაიმე სიფრთხილე არ იქმნა მიღებული, უსათუოდ მთელს სოფლებს მოსდებენ ამ საშიშარს სენს გომის სადგურიდგან დაწყებული რაჭამდის. ამბობენ, ვითომც ამას წინადაც ერთი რაჭველი ამ ნაირადვე მომკვდარიყოს გზაზედ სოფელს გორისაში (ექვსი ვერსია საჩხერედგან) და ამხანაგებს რაჭაში წაეღოთ.

⁂ სოფ. ხუნევგა (კავკავის მაზრა): ამ თიბათვის შუა რიცხვებში სოფ. სანებელები (კავკავის მაზრა) ძმანი ფიდაროვები მიდიოდნენ ქვედას არიუში სამუშავოდ ცხენის ურმით; სოფ. ხუმელაგის ჰპლას რომ მიაღწიეს, — ორს ძმას რაღაცაზედ ჩხუბი მოუვიდათ და შეჰყვნენ ერთმანეთს. ჩხუბი რომ გამწვავდა, იძრო უმცროსმა ძმამ ხანჯალი და დაჰკრა უფროსს ძმას ჯერ ფერდში, მერე თეძოში და ერთიც მარჯვენა ფეხის ზურგში ჩასცა ხანჯლის წვერი. უფროსი ძმაც იძულებული შეიქმნა, უმცროსის ძმისთვის მაგიერი გადაეხადა, იძრო იმანაც ხანჯალი და ზურგში მსუბუქად დასჭრა უმცროსი ძმა. ამასობაში ხუმელაგელი სიმინდის მთოხნელები მიეშველნენ და გააშველეს ორივ ძმები—უფროსი ძმა მძიმედ და სასიკვდილოდ დაჭრილი ურემზედ დადებული გაუყენეს შინისკენ.

⁂ გაზეთი „Каспій“ იუწყება: რკინის გზის ბაქოს სამკურნალოში მიყვანილი ციმბირის ჭირით ავადმყოფი მემაშინე პეტრე სტარცევი 13 საათის წვალების შემდეგ გარდაიცვალა. 28 ივნისს ბაქოს მიხეილის სამკურნალოში მიიყვანეს ბაქოელი მცხოვრები ვ. ნ. ჩერნიკოვი, ციმბირის ჭირით ავადმყოფი.

რკინის გზის ბაქოს სამკურნალოში 1 ივლისს მიიყვანეს სიმონ რომანოვი. ისიც ციმბირის ჭირით არის ავად.

სამკურნალოში მიიყვანეს შავის ქალაქის ბოქაულად ნამყოფი ბ-ნი მურახოვსკი, რომელიც ხოლერით გახდა ავად.

სახელმწიფო ბანკის ბაქოს განყოფილების დარაჯი სუვოროვი ხოლერით ავად გახდა, სამკურნალოში გაჰგზავნეს და იქ ცოტას ხანს შემდეგ გარდაიცვალა.

⁂ გაზეთ „Терск. Вѣд“.-ში ვკითხულობთ: სოფ. პროხლადნაიაში (პიატიგორსკის ოლქშია) 28 ივნისს ავად იყო ხოლერით 39, კიდევ ავად გახდა 5, მორჩა 10, გარდაიცვალა 2, ავად არის 32.

სოფ. ტამბიევს ავად იყო 2, მორჩა 2; სოფ. პრიბლიჟნაიში ავად იყო 9, კიდევ ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, ავად არის 7.

29 ივნისს სოფ. პროხლადნაიაში ავად იყო 32, კიდევ ავად გახდა 5, მორჩა 10, გარდაიცვალა 2, ავად არის 25. სოფ. პრიბლიჟნაიაში ავად იყო 7, კიდევ ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, ავად არის 7. ეკატერინოგრადსკის სტანიცაში ავად იყო 10, მორჩა 1, გარდაიცვალა 1, ავად არის 8.

30 ივნისს ს. პროხლადნაიაში ავად იყო 25, კიდევ ავად გახდა 6, სულ ავად არის 31; პრიბლიჟნაიაში ავად იყო 7, კიდევ ავად გახდა 3, მორჩა 3, ავად არის 7; სოფ. პავლოდოლსკში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1. 26 ივნისს ხოლერა გაჩნდა სოფ. ოლგინსკსა და ბაზარკინსკში კავკავიდგან 11—12 ვერსის მოშორებით.

⁂ სომხურ გაზეთ „არძაგანქში“ დაიბეჭდა ისტორიული წერილი ბ-ნ ნიკ. მარის შესახებ, რომელმაც ამას წინად რუსულს ენაზედ დაჰბეჭდა

---

ლა ჯარები ბანაკად დადგა ადგილ „მიჯვრიშს“, საიდგანაც ხალდე ხელის გულივით სჩანდა.

21-ს არტილერიამ სამთო ზარბაზნებიდგან სროლა დაუწყო კოშკებს; 6—20-მდე ზარბაზანი ესროლეს ერთს კოშკს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. 22 მიუახლოვდნენ სოფელს ზარბაზნების სასროლად. გააკეთეს თხრილი, სხვა-და-სხვა საფრები. ამ თხრილიდგან ერთის მეტი ზარბაზანი არ გავარდნილა, რადგან პირველ სროლის გათავებისავე ხალდეშელმა კოშკიდგან გამოსროლილის თოფით მეზარბაზნე დასჭრა. ამ დღიდგან ზარბაზანი აღარ უხმარიათ. 23 სოფელს ჯარი შემოარტყეს მოშორებით. სამხრეთით და დასავლეთით სალდათების ჯარი იდგა, აღმოსავლეთით კახელების დრუჟინა, ჩრდილოეთით გურულები. 25 სამხედრო თათბირი იყო. თათბირმა გადასწყვიტა, ჯარი იმ ღამეს სოფელში შესულიყო. საათის 11—12-ზედ რუსის ჯარმა დასავლეთით „ურა“-ს ძახილით შეუტია სოფელს. ამ დროს კახელების დრუჟინა აღმოსავლეთით ჩუმად მიიპარებოდა სოფლად. დრუჟინის სოფლად შესვლა და ხალდეშლების გასვლა იქიდგან ერთ დროს მოხდა: ხალდეშლებსაც იმ ღამეს გადაეწყვიტათ, სოფლიდგან გავიდეთო, რადგან ხანგრძლივის დამწყვდევისა შეშინებოდათ. ამ ნაირად ერთის მხრით დრუჟინა შევიდა სოფლად და მეორეს მხრით სოფლელნი გავიდნენ იქიდამ. ამათ გვერდი გაუარეს რუსის ჯარს შეუმჩნევლად. დრუჟინა ღამე სოფელში კრინტს არ იღებს. გათენდა. სოფელში აღარავინ არის. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა 9 მოხუცი, რომელთაც არსად წასვლა არ შეეძლოთ. ორი ამათგანი კოშკში ისხდნენ. შვიდმა კაცმა გააგებინა ჯარს, რომ ჩვენებურები ყველანი წუხელ გაიპარნენო. ამ ლაპარაკში რომ არიან, კოშკიდგან ორი თოფი გამოვარდა და ორი ჯარის-კაცი მოჰკლა: ერთი მაჰავარიანი (არ მახსოვს, რა ჩინისა იყო) და მეორეც სხვა. ჯარი მოშორდა ამ კოშკს. ურჩიეს იმ კოშკში მყოფ ძმათა გასვიანებს გამოსვლა, მაგრამ უარი სთქვეს. მაშინ ჯარმა მიაყარა კოშკს ძირში შეშა და ცეცხლი მისცა. კომლმა კოშკი მოიცვა. შიგ მყოფნი გარეთ ვერას ჰხედავდნენ. უცებ ოთხსავე კედელში ლაღუმი შეუდვეს და კოშკი ააფეთქეს. მის ნანგრევებში გაეხვივნენ შიგ მყოფი ორი ძმა გეგი და ბადრი გასვიანები. ამას შემდეგ მთელი ჯარი სოფლად შევიდა. ქვითკირები ლაღუმით დაანგრიეს, ხის შენობანი ცეცხლით დასწვეს. ცეცხლი წაუკიდეს აგრეთვე მოსამკელ ყანებსაც. ადგილობრივ ეკკლესიიდგან ხატ-ჯვარი გამოასვენეს და ახლო სოფლის საყდარში შეიტანეს.

ამ ნაირად, 28 ავგვისტოს, ერთის დღის წინად, ლამაზი ხალდე ნანგრევების გროვას წარმოადგენდა. ატრიადმა ამითი გაათავა საქმე და 2-ს სექტემბერს უკან დაბრუნდა. ხალდეშლების მოძრავ ქონებას ადგილობრივი პოლიცია დაეპატრონა. ერთი ცხვარი რა არის, ისიც არ შერჩათ ხალდეშლების ცოლ-შვილს. სოფლიდამ გამოსული ხალდეშლები მთაში გაიქცნენ, სადაც თავს იფარავდნენ პოლიციის და მილიციის დევნისაგან განაკიდ შემოდგომამდე. როდესაც მთაში ჩამოთოვა და იქ ცხოვრება შეუძლებელი იყო, უმეტესი მათი ნაწილი თავის ნებით ჩამოვიდა ლეჩხუმს. ვინც სვანეთში დარჩნენ, ისინი პოლიციას ჩაუვარდა ხელში. ორივე ესენი ქუთაისს ჩამოიყვანა თ. თ. დადეშქელიანმა. იგინი ქუთაისში გაასამართლეს სამხედრო სამართლის წესით. სამს სიკვდილი გადუწყვიტეს, მაგრამ ნამესტნიკის შუამდგომლობით ეპატიათ და კატორგაში გაიგზავნენ. დანარჩენი 33 კაცი სამუდამოდ გადაასახლეს რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიაში.

ხალდეშლების ცოლ-შვილი 1880 წლამდე ნათესავებში ინახავდა თავს. ამ წელს ნება მიიღეს დასახლებისა და მათ ახალს სოფელს „Новый Ипрари“ დაერქვა. ამ ჟამად აქ თხუთმეტი მოსახლეა და ყველანი შეძლებულები არიან.

თავისუფალი სვანი

1891 წ. იანვარი

ქ. ქუთაისი

ეჩმიაძინის ბიბლიოთეკის სომხურ ხელთნაწერების ნუსხა. ამ ნუსხის საქმე ჩვენთვისაც ღირს-შესანიშნავია, რადგანაც ეჩმიაძინის სომეხთა წიგნთსაცავში რამდენიმე ქართული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნიც ინახება, რომლებიც 1820 წლებში შეუძენიათ. იმედია, როდისმე მარი ამ წიგნებს ჩვენც გაგვაცნობს.

*** გაზეთი „Новости“ იუწყება: ამ მოკლე ხანში ვოლგას ნაპირებზედ გაგზავნილი იქმნება ხოლერის გამოსაკვლევად სამეცნიერო და სამკურნალო ექსპედიცია.

## მთავრობის განკარგულებანი

დამტკიცებულ იქმნა გამმგეების საქმის სამინისტროს კავკასიის იურისკონსულტის თანაშემწე ტიტულიარნი სოვეტნიკი საყვარელიძე სამინისტროს იურისკონსულტად.

ქუთაისის სასამართლოს ოლქის კანდიდატი მამულაიშვილი გადაყვანილ იქმნა ბაქოს ოლქის სასამართლოში კანდიდატად.

## შინაური მიმოხილვა

(მოწერილი ამბავი)

**ქ. სიღნაღი**, 1 ივლისი. გუშინ, 30 ივნისს, ქალაქ სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში წაიკითხა ლექცია სიღნაღის მაზრის მკურნალმა ბ-ნმა დ. ა. ნაუმენკომ. ლექცია შეეხებოდა ხოლერის ისტორიას და მის წინააღმდეგ ბრძოლას და მით დაავადებულ წამლობას. შემოსავალი ამ ლექციისა იყო საქველმოქმედოდ დანიშნული ამავე სასწავლებელში მოსწავლე ღარიბ შეგირდებისათვის. შესასვლელი ბილეთი ჰღირდა 15 რიგისა 50 კ., დანარჩენნი 25 კაპ. თითონ დარბაზის კედლები იყო სხვა-და-სხვა ცხოველების სურათებით მორთული. იმპერატორის სურათი იყო მწვანე ფათალოს ფოთლების გვირგვინში, სურათის ჩარჩო ამავე ფოთლის ხრახნილში იყო მშვენივრად გაკეთებული. საზოგადოება, რაც შეეხება ჩვენს სიღნაღს, საკმაოდ დაესწრო. შესრულდა 9 საათი და გამოვიდა მარჯვენა ოთახიდგან ლექტორი ბ-ნი დ. ა. ნაუმენკო. დაიწყო ხოლერის ისტორია 1817 წლიდგან და დაამთავრა 1892 წლით. სულ დაწვრილებით ესაუბრა საზოგადოებას, ამ 75 წლის განმავლობაში ხოლერის მგზავრობა საიდამ იწყობოდა, რა დროს რომელ მხარეს და რომელ ქალაქში როგორ მძინვარებდა და რა ზარალი მოუტანა კაცობრიობას. უჩვენა საზოგადოებას ნახატი, ხოლერის „ბაცილები“. ნახატი იყო 12. აგრეთვე აუწყა საზოგადოებას, საიდგან გაჩნდა ეს საშინელი და კაცობრიობის მმუსრავი სენი და როგორ მოედო პირველად აზიიდგან მთელს ევროპას. აუხსნა ისიც, როგორ ვებრძოლოთ ჩვენზედ მოსეულს სენს, და გააფთხილა საზოგადოება, არ დალიოთ აუდუღარი წყალი და არა სჭამოთ უხარშავი ხორცი.

ამ საუბრით დიდად ისიამოვნა საზოგადოებამ და გათავების დროს ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა ლექტორი.

შემოსავალი 17 მანათამდე იყო, ამბობენ, და ჩვენ-კი სწორედ არ ვიცით.

ძალიან გულმოდგინედ იქცევა აქაური მკვიდრი და ადმინისტრაცია, აგრეთვე სასანიტარო კომისიაც. ქალაქი 9 ნაწილად არის გაყოფილი და სასანიტარო კომისიები ყველა თავის მიჩენილ ნაწილს კარგად ინახავენ. ქალაქს უნდა გაეკეთებინა სამ ალაგას საზოგადო ფეხის-ადგილი და ჯერაც არსადა სჩანს. ძრიელ კარგი იქნება, რომ მალე გააკეთონ. ბაზარში ხილს აღარ აყიდვინებენ: საზამთროსს, ნესვს და კიტრს. მაგრამ ეს ჩვენი მეფურნეებიც რომ გააფთხილონ, კარგს იზამდნენ, ხანდახან ცომ პურს ასაღებენ. აგრეთვე დიდ-ძალი გამომცხვარი პური შემოაქვთ დედაკაცებს. ბევრჯელ გვინახავს, რომ პური ძირს მიწაზედ ჰყრია, და ეს არვარგა. ღმერთმა უშველოს ხოლერას ერთის მხრით, რომ ესე მშვენივრად გაგვასუფთავა, თორემ უიმისოდ ვინ რას გვაღირსებდა.

ქართველი

**სოფ. ურიათუბანი** (თელავის მაზრა), 15 თიბათვე. წრევანდელი წელიწადი, როგორც მთელს საქართველოში, მეტად ზარალიანი წელიწადია ჩვენის სოფლისათვისაც. ვინ იცის, რამდენ ნაირს ზარალს არ ჩამოსთვლის კაცი! ეს საშინელი გოლვა, სიცხეები, სხვა-და-სხვა ავადმყოფობა და ხოლერის მოახლოვება. ახლა ეს ხოლერაც თუ მოედო, თქვენი მტერია მუსრი აადინოს აქაურობას. ხოლერით სიკვდილს ვილა სჩივის, ხალხი იმას აღარ უცდის, თავად ისწრაფვებენ სიცოცხლეს. ზოგი წყალში ვარდება, ზოგი ხეზედ ეკიდება, ზოგი სხვას ეხვეწება, მომკალიო... ამ რამდენისამე კვირის წინად ერთმა 18 წლის ყმაწვილმა ვენახში მარგილზედ ქამრით თავი ჩამოირჩო. გუშინაც ამ გვარი უბედურება მოხდა: იმოდენავე ბიჭმა ურემზედ ქამრით თავი ჩამოირჩო. აი რა ყოფილა მიზეზი ამათის უბედურობისა: პირველ უბედურს თავის ვაჭარ მამისათვის ეთხოვნა, შემწეობა მომეცი, რომ წავიდე სადმე და რაიმე სამსახურში შევიდეო. ყმაწვილს თელავის სასულიერო სასწავლებელი ჰქონდა გათავებული. ცოტა ხნობით სემინარიის პირველ კლასშიაც იყო, მაგრამ ავადმყოფობის გამო თავი დაანება სემინარიას და მორჩენის შემდეგ მამის დუქანში ვაჭრობდა. ბოლოს, როცა მოსწყინდა დუქანში ყოფნა, განიზრახა სხვაგან წასვლა, მაგრამ გარემოებამ ნება არ მისცა. ერთს მშვენიერ დილას შევიდა ვენახში, დიდ მარგილზედ თავის ქამარი ჩამოაბა, ყელზედ მოიჭირა და თავი ჩამოირჩო. ამ უბედურებამ დიდად შეაწუხა მთელის ურიათუბნის საზოგადოება, მით უმეტეს, რომ განსვენებული, გვარად ივანე ბრაგვაძე, ყველასათვის საყვარელი იყო, დიდად ჭკვიანი და ყველასთან თავმდაბალი.

ამ მაგალითმა სხვებზედაც იმოქმედა. რამდენისამე კვირის შემდეგ ივანე ღარიბაშვილმა, 15 წლის ბიჭმა, ამ გვარადვე თავი ჩამოირჩო ურემზედ. თურმე საწყალს ბიჭს საქონელი სხვის ვენახში შესვლიყო. ვენახის პატრონს ბიჭისთვის მაზარა გაეხადნა, წაერთმია და ისე გამოეგდო. შინ რომ მისულიყო, დედა გასჯავრებოდა: მაზარა რად გაგხადეს, მამაშენი ხომ მოგკლავსო! მამა შინ არ ყოფილიყო და ბიჭს ეფიქრა: მამა ჩემს ვიღა გაუძლებსო, წამოსულიყო, ურმის ჰალიზედ გამოება ქამარი და ჩამოერჩო თავი. ამ მაგალითებმა ცუდად იმოქმედა ყმაწვილებზედ, იმათ მიბაძვით სხვებსაც განუზრახავთ თავის დარჩობა, მაგრამ მშობლებს მიუტანებიათ და დაუხსნიათ სიკვდილისაგან. ისე შეშინდნენ, რომ მშობლები თავიანთ ყმაწვილებს ვეღარც უჯავრდებიან და ქამრებსა ხსნიან, არაფერი უბედურება არ ჩაიდინონ.

**დ. ზესტაფონი**, 3 მკათათვე. ძლივს!.. ზესტაფონმა ფერი იცვალა... ზესტაფონს ასუფთავებენ, ზესტაფონს სიბინძურეს აშორებენ. ბოქაული, ექიმი, ფერშალი, სასანიტარო კომისია ფეხზედ დგანან და ერთს ფაცაფუცში არიან. ამათ მხარს აძლევენ აქაურნი მკვიდრნი, ზოგი ნებით და ზოგიც ძალაუნებურად, და ერთობრივის ძალით სცდილობენ მოსალოდნელს ხოლერას ფეხი არ მოაკიდებინონ ზესტაფონში, მოსვლისათანავე ხელ-ცარიელი გაისტუმრონ... ღმერთმა ჰქნას!

ბაზარში ყოველ გვარის ხილეულობის ყიდვა-გაყიდვა სასტიკად აღკრძალულია. დიდი ქუჩა, რომელიც დაბის გასწვრივ გადის, ხვრეშ-მოყრილია, წუმპეები ამოშრობილია, თხრილები ამოწმენდილია. ყოველ დღე სასანიტარო კომისიის წევრნი სინჯავენ დაბას და რჩევა-დარიგებას იძლევიან, სუფთად შეინახეთ თავიო. ვინც ან განგებ და ან დაუდევრობით ეურჩება, ჯარიმა იძულებულს ჰყოფს, თავი მოუდრიკოს ამ კანონიერს მოთხოვნილებას.

კიდევ კარგი, რომ ხოლერამ მოსვლა დაიგვიანა, თორემ აქამდე რომ გაჩენილიყო, თქვენი მტერი, ჩვენ დღეში ჩავსცვივოდით! ზესტაფონის დაარსებიდგან აქაურს სიბინძურეს სიბინძურევე ერთოდა, ერთს ადგილზედ მკვიდრად მყარდებოდა და მისი თავიდგან მოშორება ფიქრადაც არავის მოსდიოდა. ახლა-კი მადლობა ღმერთს, რაც შეეძლოთ, არავის ცდა არ დაუკლია, და თუმცა იდეალურს სისუფთავეზედ შორსა ვართ, მაინც სულ არარაობას სჯობია.

დიაღ, ამ მხრით, ცოტად თუ ბევრად, უზრუნველ-ყოფილნი ვართ, მაგრამ უწყლობამ-კი ლამის არის მუსრი გაგვავლოს. თითქმის მთელი ზესტაფონი ქის წყალსა ჰხმარობს, იმ ჭებისას, რომელიც იშვიათად იწმინდება, შიგ ყველაფერი სცვივა წყალი იშხამება, და თქმა-ღა უნდა, რამდენად მარგებელი იქნება ადამიანისათვის ცუდი წყალი? ესეც რომ არ იყოს, აქაურს წყალს რაღაც თავისებური თვისება აქვს—სტომაქზედ საფაღარათოსავით ჰმოქმედობს. ეს სამი კვირაა მთელს ზესტაფონში მუცლის ფაღარათობაა მოდებული. ზაფხულში, საზოგადოდ, სიცხის გამო მუცლის ფაღარათობა ხშირია ხოლმე, მაგრამ ეს სენი წრეულს აქ გადამდებად იქცა. სხვა-და-სხვა „კაპლები“, მართალია, ჰშველის, მაგრამ რა გამოვიდა? როგორ გნებავთ, რომ წამალმა გასჭრას, თუ-კი სენს გაჩენის მიზეზს არ უპოვნით და ძირშივე არ მოსპობთ. კარგი იქმნებოდა, ადგილობრივი ექიმი ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს: ზოგს ჭას, რომელიც სრულიად უვარგისია სახმარად, სრულიად დაახურვინებდეს, ზოგს ამოაწმენდინებდეს, თორემ ბოლოს სინანული განსაცდელიდგან ვერღა გვიხსნის.

ყველა ამ ზემოხსენებულ მეცადინეობის გვირგვინად ახლად გამართული ორი ბამბის კარავი უნდა ჩაითვალოს. ეს კარვები დაბის განაპირას კარგა გაშორებით არის დადგმული. შიგ ხოლერით ავადმყოფნი უნდა დააწვინონ. მაგრამ, სამწუხაროდ, რიგიანი ადგილი-კი ვერ არის შერჩეული. სადაც კარვებია, ჭაობიც იქავეა, ასე რომ საეჭვოა ავადმყოფი მორჩეს იქ დაწოლით. ყოველ შემთხვევაში ერთი დიდი სამარეც არის გათხრილი გვერდით გარდაცვალებულთათვის.

თ. ს.

## რუსეთი

უწესოება ასტრახანში

გაზეთ „Астрах. Лист.“-ში ვკითხულობთ:

„კვირას, 21 ივნისს, საგუბერნიო მმართველობის ბრძანებით სასანიტარო მკურნალებმა დაიწყეს ქალაქ ასტრახანის დათვალიერება. ზოგიერთ ადგილებში გამოჩნდა ფურგუნები, რომლითაც სამკურნალოში ხოლერით ავადმყოფები მიჰყავდათ. ამ ფურგუნებს უკან დაედევნენ ბიჭები და ქალები, დაჰკრეს კიჟინა და პოლიციელებს ქვების სროლა დაუწყეს. ქალაქის 5 ნაწილში ხალხის ბრბომ ერთი ფურგუნი დაამტვრია და დასწვა. შემდეგ აღელვებულმა ხალხმა შეიტყო, ბაკალდინის ქუჩაზედ ვიღაცა გარდაიცვალაო. ხალხმა იქით გასწია. მიზანდრონცევის სახლთან, რომელშიაც ხოლერიანი გარდაიცვალა, ხალხს მკურნალი დახვდა ფერშლითურთ. ხალხმა მკურნალს კიჟინა დასცა. მკურნალს შეეშინდა, თითონ წავიდა და ფერშალი დასტოვა სახლში დეზინფექციის მოსახდენად. მაგრამ ხალხმა ამის ნება არ მისცა ფერშალსა და სცემეს კიდეც. ვინც ფერშალს მიეშველა, იმათაც სცემეს.

„პოლიციამ ხალხი ვერ დააშვიდა. 2 საათზედ წვიმა წამოვიდა და ხალხი თითონ დაიშალა, მაგრამ გადიღო თუ არა წვიმა, ხალხი ისევ შეგროვდა და სამკურნალოსაკენ გასწიეს. ქუჩები გაჭედილი იყო. 3 საათზედ ხალხი სამკურნალოს შემოეხვია და ყვირილი დაიწყეს. ამ ადგილას მალე მოვიდნენ გუბერნიის უფროსი გენერალ-მაიორი ნ. ნ. ტევიაშოვი, პროკურორი, პოლიცმეისტერი და ყაზახები, მაგრამ ამათაც ხალხი ვერ დამშვიდეს. გუბერნატორის მისვლამდე ხალხმა ძლიერა სცემა სამკურნალოს ერთს ექიმს ნ. ს. სოკოლოვს.

„ცოტა ხანს შემდეგ აღელვებული ხალხი სამკურნალოში შევიდა, გამოიყვანეს ავადმყოფნი და მდინარე კუტუმის ნაპირზედ დააწვინეს. ზოგიერთი ავადმყოფები სახლებში წაიყვანეს ნათესავებმა.

„ვერავითარმა დარიგებამ ვერ დაამშვიდა ხალხი. სამკურნალოდგან გადმოყარეს სადეზინფექციო და სხვა წამლები და შემდეგ სამკურნალოს ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლის მქრობელი რაზმი მალე მოვიდა, მაგრამ ხალხმა ცეცხლს ჩაქრობის ნება არ მისცა.

„ერთს სომეხს, სიმონ არტემიევს, ხალხმა ისე სცემა, რომ მეორე დღეს გარდაიცვალა.

„საღამოთი ხალხის ბრბომ რამდენიმე დუქანი დაამტვრია. მეორე დღეს ხალხი ხელ-მეორედ შეგროვდა. გუბერნიის უფროსის სახლთან და ფანჯრებს ქვებს ესროდა. გუბერნიის უფროსმა სამი როტა ჯარი და ყაზახები დაიბარა. ჯარმა ხალხს თოფი ესროლა ⁊ რამდენიმე კაცი მოჰკლა, ზოგიც დასჭრა. შეშინებული ხალხი იმ წამსვე დაიშალა“.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო მის მაღალ კეთილშობილებას ნატალია ალექსი-მესხიშვილისას, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს ქვემოჭალის ჯვარ-პატიოსნის ეკკლესიას შემოსწირა ორი ხელი სამღვდლო შესამოსელი და ერთი ხელი დაფარნები, ღირებული ოთხ თუმნად.

ქვემოჭალის ჯვარ-პატიოსნის ეკკლესიის შტატის მღვდელი ანტონ ალნიაშვილი.

### II

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადოთ თეოფილე შავარდენის ძეს კალანდაძეს, რომელმაც რწმუნებულს ჩემდა ხიდისთავის სამრევლო სკოლას შემოსწირა თითო ცალი შემდეგის წიგნებისა: „სამის თავს გადასავალი“, „ლენტის მსგავსი ჭიები“, „ბუნების მოკლენანი“, „ქატესა“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „ბერლინის გარემოცვა“, „წმინდა გიორგი“, „რაიფეა“ № 1 და „დამის მეხრე“.

დ. ს. კალანდაძე

## დეპეშა

5 ივლისი

**პეტერბურგი**. სახელმწიფო მდივანი პოლოვცევი დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. სამკურნალო დეპარტამენტის დირექტორს ჩრდილოეთ კავკასიაში ჰგზავნიან.

1 ივლისს ასტრახანის სამკურნალოში მოიყვანეს 223 ავადმყოფი, გარდაიცვალა 130, მორჩა 17; სამკურნალოს გარეშე კვლავ ავად გახდა 121, გარდაიცვალა 134; სარატოვის სამკურნალოებშია 40 ავადმყოფი, კიდევ მიიყვანეს 11, მორჩა 2, გარდაიცვალა 12, სამკურნალოებს გარეშე კვლავ ავად გახდა 16, გარდაიცვალა 13; ცარიცინაში ავად გახდა 90, მორჩა 10, გარდაიცვალა 46; სამარაში კვლავ ავად შეიქმნა 23, რომელთაგან სამკურნალოში მიიყვანეს 15, აქვე კარგად გახდა 8, გარდაიცვალა 10, სამკურნალოს გარეშე მორჩა 4, გარდაიცვალა 1; ბაქოში სამკურნალოში კვლავ მიიყვანეს 19, გარდაიცვალა 20, მორჩა 13; სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 37.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: მოსპოს ბეჭდვა კერძო განცხადებათა გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ში და ცალკე ნომრობით გასყიდვა აღუკრძალოს ამავე გაზეთს.

**კატანია**. ცეცხლის-მფრქვეველი მთა ეტნა კვლავ ჰბოლავს და უშველებელს ქვებს ისვრის; ნაფრქვევი მთისა ნიკოლოზში შიშს უქადის;

შემუშავებული ადგილები ფუჭდება, საშიში ნიკოლოზის მცხოვრებთათვის ჯერ არაფერია, მაგრამ მკვიდრნი თანდათან დიდად ჰშფოთავენ.

**პარიჟი.** ბერინგოვის საგნის სამედიატორო სასამართლოს მიერ გადაწყვეტის შესახებ უკვე მირიგდნენ მინისტრი რიბო და მინისტრები ინგლისისა და შეერთებულ შტატებისა. განაჩენი ფრანგულს ენაზედ იქნება დაწერილი; სამედიატორო სასამართლო ხვალისთვის ინიშნება. ლოშიდგან იუწყებიან, რომ ვილსონსა და საარჩევანო კომიტეტის პრეზიდენტს ლერუს სასამართლომ თითოეულს 1,000 ფრანკი ჯარიმა დააწერა არჩევანების დროს ბოროტ-მოქმედებათა ჩადენისათვისათ.

6 ივლისი

**პეტერბურგი.** ხოლერისაგან უზრუნველ-საყოფლად, რომ უფრო მეტად არ გავრცელდეს ეს სენი, გადაწყვეტილია სამეთვალ-ყურეო სადგურები დაიმართოს დონას როსტოვსა და სადგ. ნევინოლიკეში მოგზაურთა გასასინჯად.

დონას როსტოვში და იმის ოლქში 28 ივნისს რამდენიმე კაცი საეჭვო სენით გახდა ავად; 2 ივნისამდე ავად გახდა 48, გარდაიცვალა 13; აზოვში ამავე ხნის განმავლობაში ავად გახდა 60, გარდაიცვალა 18, მორჩა 15; გნილოვსკის სტანიცაში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 3. 1 ივლისს 13 კაცი გახდა ავად ვორონეჟ-როსტოვის რკინის გზის ლიანდაგის მომუშავეთა შორის, რომელნიც ხოლერის მხრივ არა კეთილ-საიმედო ადგილებიდგან იყვნენ მოსულნი; გარდაიცვალა 4; ადგილობრივთაგანი არავინ გამხდარა. 2 ივლისს ბაქოში გარდაიცვალა 43, ბაქოს გუბერნიის მაზრებში 65; 28 ივნისიდგან 2 ივლისამდე ამიერ-კავკასიის გზაზედ ავად გახდა 17, თურქესტანის მხარეში 29 და იმიერ-კასპიის ოლქში 33.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,05 | 8,09 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 161 | 161 3/4 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1,02 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 235 1/4 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 222 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | 192 1/2 | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | — „ | — „ | 99,62 |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — „ | — „ | 102 1/2 |
| 5% . . . . . . | 99 1/2 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 3/4 | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გან ადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

---

# განცხადებანი


„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები (მან. კაპ.)

ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . „ 40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . „ 20
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა). ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . 1 40
იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . 2 50
სამივე ტომი. . . . 7 „
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . 1 80
თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . „ 20
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . „ 20
წყალობა პოემა მისივე . „ 20
სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . „ 25
თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . „ 10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . „ 15
ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . „ 50
სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . „ 30
აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . „ 50
ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . 1 „
კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . „ 20
პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . „ 50
საყმაწვილო ამბები მისივე „ 40
ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. „ 25
თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . „ 50
საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი „ 45
რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . „ 25
სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . „ 20
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . 1 „
ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . 1 50
ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . „ 40
ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . „ 55
ლექსები გრ. ორბელიანისა „ 50
ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . „ 20
სურათი შ. რუსთაველისა „ 60
წმ. ნინოს ხატი . . . „ 50
გეომეტრია მ. ზ. ყოფიანისა, ნაწილი
„ II სტერეომეტრია
„ უმდაბლესი გეოდეზია
„ IV ზოგიერთი კანონები ტრიგონომეტრიის და „ V—ლაგარითმოსის ტაბლიცებისი . . . „ 50

---

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირ-უქმეა დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევისე 2 საათამდე. (150—69)

---

წ ა რ მ ო ე ბ ა

ასფალტის სამუშაოთა.

ისყიდება

ასფალტი და გუდრონი

უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:

ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს;

ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს.

(15—13)

---

მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები სავაჭრო სახლი:

ბენდერ და სცეფანოვი

(35—56—32)

---

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

ზ ა დ ი გ ი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბოროკილი“ და ჰღირს 40 კაპ.


---


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 50 „ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებშ № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 6-го Іюля 1892 г

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე